

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

სათათბიროს სხდომის

ო კ მ ი № 9

19.05.2016

სათათბიროს 12 წევრიდან ესწრებოდა 8

დღის წესრიგი :

1. ემერიტუსის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით (მ. მშვილდაძე);
2. სახელმძღვანელოების დაფინანსებასთან დაკავშირებით (მ. მშვილდაძე);
3. პროფესიული სწავლების სტუდენტების საგაზაფხულო შევსების შესახებ (მ. მშვილდაძე);
4. ბიუჯეტში დამატებით შემოსული თანხების საფუძველზე, ლაბორანტების ხელფასის შესაძლო გაზრდასთან დაკავშირებით (მ. მშვილდაძე);

მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: თავმჯდომარე, პროფ. მ. მშვილდაძე. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის დეკანს ნ. წერეთელს გაუვიდა უფლებამოსილების ვადა, რის გამოც პროცედურა თხოულობს შეუწყდეს მას სათათბიროს წევრობა. ამთან საჭიროა აირჩეს სათათბიროს მდივანიც, რადგანაც დეკანის მოვალეობის შემსრულებლად საბჭომ დანიშნა სათათბიროს მდივანი, რომელსაც დაეკისრა სათათბიროს თავმჯდომარეობაც. მან სთხოვა სათათბიროს წევრებს დაესახელებინათ სათათბიროს მდივნის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს პროფ.: მ. მაისურაძე. მან აღნიშნა, რომ სათათბიროს მდივნად პარიტეტის დაცვის მიზნით, უმჯობესია არჩეული იქნას მეტალურგი და დაასახელა პროფ. დ. ნოზაძის კანდიდატურა.

დაადგინეს: 1. დეკანის უფლებამოსილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით პროფ. ნ. წერეთელს შეუწყდეს სათათბიროს წევრობა.

2. სათათბიროს მდივნად არჩეული იქნას პროფ. დ. ნოზაძე.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

1. მოისმინეს: თავმჯდომარე, პროფ. მ. მშვილდაძე. მან სათათბიროს წევრებს გააცნო პროფ. ნ. ჩხუბიანიშვილის განცხადება ემერიტუსის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს პროფსორები: მ. მაცაბერიძე; ნ. კუციავა; გ. მჭედლიშვილი. მათ აღნიშნეს პროფ. ნ. ჩხუბიანიშვილის დამსახურებები და მხარი დაუჭირეს პროფ. ნ. ჩხუბიანიშვილისთვის ემერიტუსის წოდების მინიჭებას.

დაადგინეს: ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციას დამსახურებიდან გამომდინარე, პროფ. ნ. ჩხუბინიშვილს 2016-17 სასწ. წლიდან მიენიჭოს ემერიტუსის სტატუსი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

2. მოისმინეს: თავმჯდომარე, პროფ. მ. მშვილდაძე. მან სათათბიროს წევრებს წაუკითხა პროფესორების დ. ბიბილეიშვილის, ნ. ბოკუჩავას; ე. მაცაბერიძის, უფრ. მასწ. მ. მამულაშვილის განცხადებები სახელმძღვანელოების დაფინანსებასთან დაკავშირებით (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფ. მ. მაცაბერიძე. მან აღნიშნა, რომ წინააღმდეგია ფინანსური ხარჯის გაღების, ვინაიდან ავტორს ყოველთვის შეუძლია წარმოადგინოს სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია, რათა დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ სარგებლობა.

პროფ. თ. ცინცაძე: მან აღნიშნა, რომ ორ წარმოდგენილ სახელმძღვანელოზე თანაავტორია პროფ. დ. ერისთავი, რომელის სახელმძღვანელოებიც სათათბიროს მიერ სუ ახლახან იყო დაფინანსებული. იგი წინააღმდეგი წავიდა ყველა სახელმძღვანელოს დაფინანსებაზე.

პროფ. ნ. კუციავა, მ. მასისურაძე. სათათბიროს მიერ ერთხელ უკვე მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი სახელმძღვანელოების დაფინანსებას 300-300 ლარის ოდენობით.

დაადგინეს: ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს სახელმძღვანელოები:

1. **”სამკურნალო-კოსმეტიკური საშუალებები”** (ავტორი ნ. ბოკუჩავა; დ. ჯინჭარაძე), 300 ლარის ოდენობით.

2. **”ლაბორატორიული პრაქტიკუმი სამრეწველო ობიექტების მონიტორინგში”** (ავტორი დ. ერისთავი, მ. მამულაშვილი, ე. მაცაბერიძე);

”ლაბორატორიული პრაქტიკუმი ბუნებრივი ობიექტების მონიტორინგში” (ავტორი დ. ერისთავი, მ. მამულაშვილი, ე. მაცაბერიძე);

300 ლარის ოდენობით.

3. **”თეორიული ფიზიკური ქიმია”** (ავტორი დ. ბიბილეიშვილი; ნ. ორმოცაძე) 300 ლარის ოდენობით.

მომხრე: 6

წინააღმდეგი 2

3. მოისმინეს: თავმჯდომარე, პროფ. მ. მშვილდაძე. მან სათათბიროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ფაკულტეტზე პროფესიულ სწავლებაზე 2016 წლის მაისში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ. აღნიშნა, რომ სულ ჩაირიცხა 65 სტუდენტი, თუმცა ჯგუფში სტუდენტთა სიმცირის გამო, სტატუსი დროებით შეუჩერდება 14 სტუდენტს ახალი ჯგუფების ფორმირებამდე.

დაადგინეს: პროფესიულ სწავლებაზე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ცნობად იქნას მიღებული.

4. მოისმინეს: თავმჯდომარე, პროფ. მ. მშვილდაძე. მან აღნიშნა, რომ პროფესიულ სწავლებაზე სახელმწიფოს მიერ ჩარიცხული 51 სტუდენტის სწავლების საფასური, გაზრდის მიმდინარე წლის ფაკულტეტის ბიუჯეტის შემოსავალს. მან წევრებს შეახსენა 2015 წლის 09 დეკემბრის სათათბიროს დადგენილება (ოქმი 53), რომლის მიხედვითაც ფაკულტეტის ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოძიების შემთხვევაში განხილულიყო ლაბორანტების თანამდებობრივი სარგოს გაზრდის შესაძლებლობის საკითხი.

აზრი გამოთქვას პროფესორები: ნ. კუციავა, მ. მაისურაძე. ბიუჯეტის ნამატის შემთხვევაში, ადმინისტრაციასთან კონსულტაციის შემდეგ, მათ მხარი დაუჭირეს ლაბორანტებისთვის ფინანსური შემოსავლის გაზრდას.

მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ლაბორანტებისთვის ხელფასის მომატება არის შეუძლებელი, ვინაიდან ფაკულტეტს ისედაც აქვს სხვა ფაკულტეტების ვალი 500 000 ლარის ოდენობით და სააღდგომო პრემიის გაცემაც სხვა ფაკულტეტების ხარჯზე განხორციელდა.

პროფ. თ. ცინცაძე. აღნიშნა, რომ თუკი ფაკულტეტზე გაჩნდა დამატებითი შემოსავლები ხომ არ განხილულიყო ლაზერის დანადგარის შეძენის საკითხი ან იმ დეპარტამენტებში სადაც არ ჰყავთ სპეციალისტი ამ შემოსავლით მომხდარიყო მათი აყვანა..

პროფ. მ. მაცაბერიძე. მან აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის სერიოზული და თხოულობს საფუძვლიან ანალიზს, ამიტომ უმჯობესია საკითხი გადაიდოს მანამ სანამ არ მოხდება ფაკულტეტის ბიუჯეტში შემოსავლების დაზუსტება.

დაადგინეს: დაევალოს მენეჯერს დააზუსტოს ფაკულტეტის შემოსავლები, რათა შემდგომში ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განხილული იქნეს ფაკულტეტზე მომუშავე ლაბორანტების ფინანსური შემოსავლის გაზრდის შესაძლებლობა.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები:

მოისმინეს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მან სათათბიროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ფაკულტეტზე სატენდეროდ გასატანი სარემონტო ობიექტების შესახებ. აღნიშნა, რომ მე-10 კორპუსის გათბობაზე ტენდერი გამოცხადდება ოთხ დღეში ორშაბათს 23 მაისს, რაც შეეხება სარემონტო ობიექტებს აღნიშნა, რომ ადმინისტრაციამ კიდევ ერთხელ დააზუსტა სარემონტო სამუშაოების კალკულაცია, რის გამოც სტუ-ის სამეურნეო სამსახურის მიერ გასარემონტებელ ობიექტთა ნუსხიდან ამოღებული იქნა II კორპუსის მე-3 სართულის ფოიე.

აზრი გამოთქვას: პროფ. მ. მშვილდაძე. მან აღნიშნა, რომ აქვს ინფორმაცია სარემონტო ნუსხიდან ამოღებულია აგრეთვე II კორპუსის მე-5 სართულის დერეფანი. მან აუცილებლობად მიიჩნია II კორპუსის მე-3 სართულის ფოიეს გარემონტება, რადგანაც სტუდენტების თხოვნით, ფაკულტეტს იქ დაგეგმილი აქვს სპეციალური კუთხის მოწყობა სტუდენტთა აქტიური განტვირთვისთვის მიზნით.

პროფ. მ. მაცაბერიძე. მან აღნიშნა, რომ სარემონტო ნუსხაში II კორპუსის №405 ოთახის ნაცვლად, რომელიც ჯერ არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროცესში, გარემონტდეს ორგანული ქიმიის 304 ან 305 ლაბორატორია, რისთვისაც საჭიროა დაზუსტდეს ფინანსური კალკულაცია.

დაადგინეს: დაევალოს მენეჯერს სამშაბათს 24 მაისს, სათათბიროს წარმოუდგინოს სრულყოფილი ინფორმაცია სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

.მოისმინეს: თავმჯდომარე, პროფ. მ. მშვილდაძე. მან სათათბიროს წევრებს გააცნო მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების დეპარტამენტის უფროსის პროფ. დ. ნოზაძის განცხადება გ. ნიკოლაძის მედლის კავალერის, ემერიტუსის ჯ. ლომსაძის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მომზადებული ბიოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციის დაფინანსების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს პროფესორები: მ. მაისურაძე; ნ. კუციავა. მათ მხარი დაუჭირეს ბიოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციის დაფინანსების საკითხს 300 ლარის ოდენობით.

დაადგინეს: დაფინანსდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ჯ. ლომსაძის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მომზადებული ბიოგრაფიული ხასიათის პუბლიკაციური ნაშრომი 300 ლარის ოდენობით.

მომხრე: 6

წინააღმდეგი 2

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

მ. მშვილდაძე

მდივანი, პროფ.

დ. ნოზაძე